



საქართველოს სარეგისტრაციო
აგენტობის სააგენტო

ქ. წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურის
შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების
ჩასატარებლად საჭირო საინჟინრო-საპროექტო
დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით შექმნილი
საკონკურსო კომისიის სხდომის

ო კ მ ი № 3

ქ. თბილისი

04 ივნისი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწვირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე,
ოლეგ დოლიძე, მალხაზ ტაბლიაშვილი.

საკონკურსო კომისიის აპარატის

წევრები: ლაშა ბოკუჩავა, გიორგი მესხი.

დღის წესრიგი: ქ. წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საინჟინრო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოცხადებულ #770 კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ოპტიმუსმა“ და შპს „იერმა“.

წარმოდგენილი წინადადებების განხილვის შედეგად დგინდება, რომ შპს „იერი“-ს საკონკურსო წინადადებას აკლია კონკურსის პირობებით მოთხოვნილი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაცია (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები)
2. შენობის გრაფიკული ნაწილში შენობის ოთხივე ფასადის გრაფიკა;
3. ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიის წევრს მალხაზ ტაბლიაშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „იერი“ დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან.

შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან და მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს მის მიერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:


1. დადასტურებულად იქნეს მიჩნეული შპს „იერი“-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის შენიშვნები და შპს „იერი“ დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან;

2. შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ჩაითვალოს მისაღებად და მოწვეულ იქნეს ზეპირ ვაჭრობაზე მონაწილეობისთვის 2013 წლის 05 ივნისს 11 სთ-ზე;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ზეპირ ვაჭრობაზე მოწვევის შესახებ წერილის გაგზავნა შპს „ოპტიმუსი“-სთვის;

4. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დისკვალიფიკაციის თაობაზე წერილის გაგზავნა შპს „იერი“-სთვის.

კომისიის თავმჯდომარე:



/ნინო ინჯორავა/

კომისიის წევრი:



/მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი:



/ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი:



/ოლეგ დოლიძე/

კომისიის წევრი:



/მალხაზ ტაბლიაშვილი/